ლენინიზმის ჩირაღდანი გვინათებს მომავლის გზას!

ДОРОГИЕ ТОВАРИЩИ ГРУЗИНЫ!

КОМУНИСТИ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 94 (12910) | ოთხშაბათი, 22 აპრილი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 94-ე წლისთავია



ВЛАДИМИР ИЛЬИЧ-ЛЕНИН.

მხატვარი ბ. ვასილიევი.

ლენინური გზით

დღეს 22 აპრილია, გაზაფხულის მშვენიერი დღე, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღე.

ადამიანი ბუნების ყველაზე ლამაზი ქმნილებაა. მაგრამ ბუნებას არცერთი ადამიანისათვის არ მიუნიჭებია აზრის ისეთი სილამაზე, სილაღე და სიცხადე, მზის სადარი მსოფლიო აღიარება და პატივი, როგორიც ვ. ი. ლენინისათვის.

გადის დღეები, წლებს წლები ემატება, და ამ უამთასვლაში მთელი მსოფლიოს მშრომელთა გული სულ უფრო ივსება დიდი ბელადისა და მასწავლებლის — ლენინის სიყვარულით. **ბედნიერი მომავლისაკენ ხალხთა ერნსვლის ავანგარდშია საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც მაღლა უჭირავს საბრძოლო ლენინური დროშა.** დღეს ქართველი მეჩიე თუ ჩუჯრი მეირმე, უკრაინელი მექანიზატორი თუ უზბეკი მებამბე, ბაქოელი მენავთობე თუ ივანოვოელი ფეიქარი სიამაყით ამბობს: ჩვენ ვცხოვრობთ, ვიბრძვით და ვშრომობთ ლენინურად, ლენინის სახელი, მისი ნათელი სახე ცოცხლობს ყოველი ჩვენგანის გულში.

ლენინის საქმე იმარჯვებს — ეს არის ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობა სსრ კავშირში, სოციალიზმის წარმატებანი მოძმე ქვეყნებში. დიადი ლენინური იდეები უკვდავი გახდა, ეს იდეები მთელი მსოფლიოს მშრომელთა შთამაგონებელია კაცობრობის ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა ისტორიაში პირველმა დაამსხვრია ექსპლოატაციის მძიმე უღელი, წარმატებით განახორციელა ლენინის მიერ შემოშავებული სოციალისტური საზოგადოების აშენების გეგმა და ახლა მტკიცე ნაბიჯით მიდის კომუნიზმისაკენ. ჩვენმა ხალხმა მსოფლიოს უჩვენა, რომ უნარი შესწევს დაიცვას რევოლუციის მონაპოვარი, მსოფლიოს უჩვენა უბადლო ნიშუშები თავდადებისა ომის მკაცრ წლებშიც და მშვიდობიანი შრომის წლებშიც. და დღეს საბჭოთა ადამიანები სახეს უცვლიან ჩვენს ქვეყანას, ახორციელებენ კაცობრობის ყველაზე გაბედულ ოცნებას — იერიშით იღებენ კოსმოსურ სიმაღლეებს.

მაგრამ, როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, **საზღვარი არა აქვს უკეთესს.** კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს ახალი დიდი საქმეები მოელის.

სკკპ პროგრამა — სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, განასახიერებს ლენინის ყველაზე გაბედულ, ყველაზე გრანდიოზულ იდეებს. პარტია და ხალხი, რომელიც ყოველთვის იყო და არის ერთიანი თავის მოქმედებაში, წარმატებით წყვეტენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებს. ეს ამოცანებია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება.

საბჭოთა საზოგადოების მონოლითური შეკავშირების მძლავრი დემონსტრაცია იყო ის, რომ მთელმა ხალხმა მოიწონა პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის კურსი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის ბრძოლაში.

ყოველ დღეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მოპაჟს კომუნისტური მშენებლობის ლენინური პროგრამის განხორციელების შესანიშნავი მაგალითები. ავიღოთ თუნდაც ენერგეტიკა. გავიხსენოთ, როგორ უხარიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, როცა მის თვალწინ პატარა სოფელ კაშინოში მოსკოვის ახლოს აინთო ელნათურა, რომელსაც ჩვენმა ხალხმა სიყვარულით „ილიჩის ნათურა“ უწოდა. როგორ ვამაყობდით ჩვენ ჯერ ვოლხოვშენით, შემდეგ დნეპრჰესით. ახლა კი მხოლოდ შარშან მწყობრში ჩადგა 10 მილიონზე მეტი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურები. ეს ხომ წელიწადში ათობით დნეპრჰესია ან ასობით ვოლხოვშენი! აი ამ ტემპით იზრდება ჩვენი ქვეყანა, რომელიც ლენინურ გზას ადგას.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამის განხორციელების საქმეში ჭეშმარიტად უბადლო წარმატებები მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა. მეურნეობისა და კულტურის განვითარებით საბჭოთა საქართველომ დიდი ხანია შორს მოიტოვა ახლო აღმოსავლეთის მეზობელი სახელმწიფოები და ახლა ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მიხედვით ცალკეულ დარგებში უსწრებს ევროპის ყველაზე მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, სწორედ ამაშია ლენინიზმის ცხოველმყოფელი ძალა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძალა!

კომუნისტური ეკონომიკის განვითარების დიდებულ პერსპექტივებს სახავს დიდი ქიმია და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებზე გადაიშალა იმის ჭეშმარიტად გრანდიოზული სურათი, თუ რა არაჩვეულებრივი შესაძლებლობანი აქვს საბჭოთა კავშირს დიდი ქიმიის შექმნისათვის, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ცნობილი ლენინური ფორმულის დამატებად დეკემბრის პლენუმმა განაცხადა: „ახლა ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია ვთქვათ: კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, პლუს სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია“.

ლენინიზმის დიადი იდეები ძლევამოსილად ვრცელდება დედამიწის ყველა კონტინენტზე. კომუნიზმი გადაიქცა ჩვენი ეპოქის უდიდეს ძალად. ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების მძლავრი ქარიშხალი ლეწავს იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის უკანასკნელ საყრდენებს.

იმპერიალიზმი ამაოდ ცდილობს გაიხანგრძლივოს არსებობა, დაბრკოლოს სოციალიზმის წინსვლა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების გზით. საბჭოთა კავშირის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების, დიადი მსოფლიოს ხალხები ფხიზლად დგანან მშვიდობის საგუშაგოზე. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავენ ლენინის მიერ წამოყენებულ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს და ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ საშუალება არ მისცენ აგრესორებს გადაჩეხონ მსოფლიო თერმოატომური კატასტროფის უფსკრულში. ეს ჭეშმარიტად ლენინური პოლიტიკაა. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „**მთელი ჩვენი პოლიტიკა და პროპაგანდა იმას კი არ ისახავს მიზნად, რომ ჩაითრიოს ხალხები ომში, არამედ იმას, რომ გოლო მოუღოს ომს**“.

ჩვენი პარტიის, ყველა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის ძალაა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება. კომუნისტური პარტიები იბრძვიან და იმარჯვებენ ლენინის დროშით, ლენინიზმისადმი ერთგულებით.

ჩვენს გზას აციცყროვნებს ლენინის გენია. ლენინის სახელოვანი დროშით, ლენინური კომუნისტური პარტიის ბრწყინვალე წინამძღოლობით ჩვენი ხალხი მტკიცედ მიდის კაცობრობის დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

უძლეველია ლენინიზმი!

გულითადი მადლობა

ჩემი დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან და ჩემთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მონიჭებასთან დაკავშირებით ბევრი მილოცვის წერილი და დეპეშა მივიღე პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამხედრო ორგანიზაციებისაგან, საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, სასწავლებლების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების კოლექტივებისაგან, ბევრი საბჭოთა მოქალაქისაგან — მუშებისაგან, კოლმეურნეებისაგან, ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებისაგან.

ამ წერილებში ისინი იწონებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, ყოველივე საუკეთესოს მისურვებენ.

მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან, კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან, ცალკეული საზღვარგარეთელი ამხანაგებისა და მეგობრებისაგან ბევრი გულთბილი მისასალმებელი წერილი მივიღე, რომლებშიც ყოველივე კარგს მისურვებენ.

მე ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა მოღვაწეობამ ლენინური პარტიის რიგებში, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ ესოდენ დიდი აღიარება და შეფასება დაიმსახურა. მიმაჩნია, რომ კეთილი სიტყვები და მოლოცვები, რომლებიც ჩემი დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით გამოითქვა, ეკუთვნის გმირ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს და კომუნისტურ პარტიას, რომლებმაც აღმზარდეს როგორც პოლიტიკური მოღვაწე და ესოდენ დიდი ნდობა გამომიცხადეს.

სულითა და გულით ვუხდი შადლობას ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ყველა ამხანაგს, ვინც მომილოცა ამ დღეებში.

ამ დღეებში მოლოცვები და მისალმებანი მივიღე სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისაგან, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეებისაგან, რომლებშიც კეთილი გრძნობებია გამოთქმული ჩვენი ქვეყნისა და პირადად ჩემდამი, როგორც საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურისადმი.

გულითად და დიდ მადლობას ვუძღვნი მათ ამ მისალმებებისა და სურვილებისათვის.

მინდა აღვუთქვა ყველა საბჭოთა ადამიანს, ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს, რომ ძალას არ დავიშურებ, რათა კვლავაც ვემსახურო კომუნიზმის დიად საქმეს, ვიბრძოლო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის, ყველა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, პირობას ვაძლევ ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომ დაუცხრომლად ვიბრძოლებ დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა მეგობრობისათვის.

1964 წლის 21 აპრილი.

ნ. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო კენიის მთავრობის დელეგაცია

20 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო კენიის მთავრობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან კენიის მმართველი პარტიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის ვიცე-თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი ოგინგა ოდინგა და პრემიერ-მინისტრის კანცელარიის სახელმწიფო მინისტრი, პარტიის ხაზინადარი ჯოზეფ მურუმბა.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და კენიის მთავრობის დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. კენიის წარმომადგენლებმა კენიის პრემიერ-მინისტრის ჯომო კენიატასა და პირადად თავიანთი სახელით გულითადად მიულოცეს ნ. ს. ხრუშჩოვს დაბადების 70 წლისთავი და ჯ. კენიატასა და კენიელი ხალხის სახელით გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი.

კენიის მხრივ საუბარს დაესწრო კენიის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ოტუკო. საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი.



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

I.

მეცნიერების დარგში ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის მიენიჭოთ 1964 წლის ლენინური პრემიები:

1. ბენციონ მოსეს-ძე **ვულს**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, ოლეგ ნიკოლოზის-ძე **კრობინს**, იური მიხეილის-ძე **პოპოვს**, ალექსი პეტრეს-ძე **შოტოვს**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატებს, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, დიმიტრი ნიკოლოზის-ძე **ნასლედოვს**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ფ. იოფეს სახელობის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, სოლომონ მეერის-ძე **რივკინს**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლაბორატორიის გამგეს, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **როგაჩოვს**, ბორის ვასილის-ძე **ცარენკოვს**, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს — ფუნდამენტური გამოკვლევებისათვის, რომელთა საფუძველზე შეიქმნა ნახევარგამტარიანი კვანტური გენერატორები.

2. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **კოტელნიკოვს**, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორს, სამუშაოს ხელმძღვანელს, მიხეილ დიმიტრას-ძე **კისლიკს**, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ვლადიმერ მაქსიმეს-ძე **დუბროვინს**, ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **მოროზოვს**, გენადი მიხეილის-ძე **პეტროვს**, ოლეგ ნიკოლოზის-ძე **რეიგას**, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ანატოლი მიხეილის-ძე **შახოვსკის**, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, ვლადიმერ პავლეს-ძე **მინაშინს**, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს, — პლანეტების ვენერას, მერკურისა და მარსის რადიოლოკაციური გამოკვლევებისათვის.

3. ვიქტორ მიხეილის-ძე **გლუშკოვს**, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორს, — ციფრული ავტომატების თეორიაში ნაშრომებზე ციკლისათვის, რომლებიც გამოქვეყნდა 1960-1962 წლებში.

4. ანატოლი ივანეს-ძე **მალცევს**, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, — ალგებრასა და მოდელების თეორიაში მათემატიკური ლოგიკის გამოყენების შესახებ ნაშრომების ციკლისათვის, რომლებიც გამოქვეყნდა 1954-1963 წლებში.

5. ვსევოლოდ პავლეს-ძე **ზენკოვიჩს**, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, — მეცნიერული ნაშრომისათვის „საფუძვლები მოძღვრებისა ზღვის ნაპირების განვითარების შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა 1962 წელს.

6. ბორის ვასილის-ძე **პერფილიევს**, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ფ. პ. სავარენსკის სახელობის პიდროგეოლოგიური პრობლემების ყოფილი ლაბორატორიის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, დინა რუფის ასულ **გაბეს**, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ლაბორატორიის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს, — მეცნიერული ნაშრომისათვის „მიკროორგანიზმების შესწავლის კაპილარული მეთოდები“, რომელიც გამოქვეყნდა 1961 წელს.

7. ვალერი ივანეს-ძე **ულიანიჩევს**, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, — მეცნიერული ნაშრომისათვის „აზერბაიჯანის მიკოფლორა“ (სამ ტომად), რომელიც გამოქვეყნდა 1952-1962 წლებში.

8. იან ვოლდემარის-ძე **პეივს**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, იან მათეს-ძე **ბერზინს**, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ლატვიის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის კათედრის გამგეს, ვიქტორ ვლადისლავის-ძე **კოვალსკის**, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ი. ვერნადსკის სახელობის გეოქიმიისა და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — მეცნიერული გამოკვლევისათვის „მიკროელემენტების ბიოლოგიური როლი და მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაში“.

9. იპოლიტე ვასილის-ძე **დავდოვსკის**, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ადამიანის მორფოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — მეცნიერული ნაშრომებისათვის: „ადამიანის პათოლოგიური ანატომია და დაავადებათა ეტიოლოგია“ (ორ ტომად) და „ადამიანის ზოგადი პათოლოგია“, რომლებიც გამოქვეყნდა 1956, 1958 და 1961 წლებში.

10. ალექსი ისიდორეს-ძე **კოლმანიჩენკოს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, უკრაინის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ოტოლარინგოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, ეალენტინა თევდორეს ასულ **ნიკიტინას**, რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ყურის, ყელისა და ცხვირის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **პრეობრაჟენსკის**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, სიმონ ნიკოლოზის-ძე **ხერინაშვილს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, კონსტანტინე ლევის-ძე **ხილოვს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ს. მ. კიროვის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კათედრის უფროსს, — ოტოსკლეროზით დაავადებულთა სმენის აღდგენის ოპერაციების სრულყოფისა და სამკურნალო პრაქტიკაში ფართოდ დანერგვისათვის.

11. იაკინ ხალმატის-ძე **ტურაყულოვს**, უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ოჯახან ყაფლანის-ძე **ისლამბეკოვს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის უზბეკეთის სამხრეთ მედიცინის ინსტიტუტის ლაბორატორიების გამგეებს, — თირეოიდური ჰორმონოგენისა და რადიოიოდთერაპიის დროს ფარისებრი ჯირკვლის ბიოქიმიური და კლინიკურ-მორფოლოგიური გამოკვლევებისათვის, რომლებიც გამოქვეყნდა 1959-1963 წლებში.

12. თევდორე მიხეილის-ძე **ხიტროვს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სტომატოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, — მეცნიერული ნაშრომისათვის „ხახის, საყლაპავი მილის ყელის არის, ხორხის, ტრაქეის დეფექტები და ნაწიბურთა შეხრდა და მათი აღკვეთის მეთოდიკა“, რომელიც გამოქვეყნდა 1963 წელს.

13. თევდორე იაკობის-ძე **პრიიმეს**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის („პუშკინის სახლი“) უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ევგენი პროხორის-ძე **კირილიუკს**, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, უკრაინის სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სექტორის გამგეს, ევგენი სტეფანეს-ძე **შაბლიოვსკის**, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს; ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ივანე დიმიტრის-ძე **ნაზარენკოს**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, მიხეილ ივანეს-ძე **ნოვიკოვს**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის კათედრის პროფესორს, — ტ. გ. შევჩენკოს ლიტერატურული, ისტორიული და ფილოსოფიური მემკვიდრეობის თეორიულ გამოკვლევათა ციკლისათვის, რაც მოცემულია წიგნებში: თ. ი. პრიიმესა — „შევჩენკო და XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა“, 1961 წ.; ე. პ. კირილიუკისა — „ტ. გ. შევჩენკო. ცხოვრება და შემოქმედება“, 1959 წ.; ე. ს. შაბლიოვსკისა — „ტ. გ. შევჩენკო და რუსი რევოლუციონერი დემოკრატები“, 1962 წ.; ი. ფ. ნაზარენკოსი — „ტ. გ. შევჩენკოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი“, 1961 წ.; მ. ი. ნოვიკოვისა — „ტ. გ. შევჩენკოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი“, 1961 წ.

II.

1964 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ტექნიკის დარგში:

1. ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე **ვორონიჩევს**, მოსკოვის სახალხო მეურნეობის საკალაჯო საბჭოს აგრეგატული ჩარხებისა და ავტომატური ხაზების პითველი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს, ვლადიმერ ვასილის-ძე **ბულკინს**, მიხეილ ივანეს-ძე **კორჩინს**, პროექტის მთავარ კონსტრუქტორებს, მიხეილ ალექსის-ძე **კუნინს**, განყოფილების უფროსს, ვასილ ვლადიმერის-ძე **კრილენკოს**, ელექტრომოწყობილობის წამყვან კონსტრუქ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მეხუთე ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მსურველად მიესალმება საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ V ყრილობას და მისი სახით 12-ათასიან რაზმს, რომელიც გაერთიანებულია საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლთა საზოგადოებაში.

საზოგადოების ყრილობა შეიკრიბა საბჭოთა ხალხის შესანიშნავი გამარჯვებების ვითარებაში, ყველა მშრომელის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი, უმაგალითო აღმავლობის ვითარებაში, რაც პარტიის ისტორიული XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებმა გამოიწვია.

საზოგადოება „ცოდნა“ რესპუბლიკის მშრომელებში ეწევა მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხთა პროპაგანდას, ავრცელებს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს და მოწინავე საწარმოო გამოცდილებას.

საზოგადოება ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ბრძოლა მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის, კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებლების შრომითი აღზრდისათვის, ხალხის კულტურის ამაღლებისათვის.

საზოგადოება „ცოდნის“ მოვალეობაა დაუფალავად ზრდიდეს ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, იბრძოდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

საზოგადოების წევრთა საპატიო მოვალეობაა ფართოდ განუმარტონ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის.

საზოგადებამ მთელი თავისი საქმიანობა მჭიდროდ უნდა დაუკავშიროს ქარხნებისა და ფაბრიკების, მშენებლობებისა და სატრანსპორტო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მეცნიერული და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუშაობაში წარმატებას უსურვებს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მეხუთე ყრილობას და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საზოგადოება კვლავაც დაუცხრომლად უსერმძღვანელებს მასებში ცოდნის შეტანის კეთილშობილურ საქმეს და პარტიის ერთგული თანაშემწე იქნება კომუნისტურ მშენებლობაში, რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერების და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

(დასასრული)

ტორს, ამავე ბიუროს მუშაკებს, სიმონ მიტროფანეს-ძე **სტეპაშკინს,** მოსკოვის ი. ა. ლიხაროვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარ ტექნოლოგს, ვიტალი ვასილის-ძე **ტკოროგოვს,** სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის საამქროს უფროსს, ნიკოლოზ სავლეს-ძე **ერშოვს,** ამავე ქარხნის უფროს გამმართველს, — სსრ კავშირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის ძრავების კორპუსის დეტალების მექანიკური დამუშავების კომპლექსური ავტომატიზაციისათვის.

2. ალექსანდრე ივანეს-ძე **ცელიკოვს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეტალურგიული მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორს, სამუშაოს ხელმძღვანელს, ინა ივანეს ასულ **კაზანსკაიას,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის გამგეს, ევგენი ილიას-ძე **ლევინს,** ლაბორატორიის ყოფილ უფროსს, სერაფიმ პორფირეს-ძე **მილიუტინს,** განყოფილების უფროსს, მიხეილ გრიგოლის-ძე **პანფილოვს,** ჯგუფის ხელმძღვანელს, ბორის თევდორეს-ძე **რომანჩიკოვს,** განყოფილების უფროსს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, ნიკიფორე ანდრიას-ძე **გრეჩინს,** ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საამქროს უფროსს, — მრგვალი პერიოდული პროფილების საგლინავი დგანების ახალი ტექნოლოგიისა და კომპლექსის შექმნისა და დანერგვისათვის.

3. მარკ არონის-ძე **აიზერმანს,** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, ტატიანა კონსტანტინეს ასულ **ბერენდსს,** თამარ კონსტანტინეს ასულ **ეფრემოვას,** უფროს ინჟინრებს, ოგნია არკადის ასულ **ტაგაევსკაიას,** უმცროს მეცნიერ თანამშრომელს, ალექსი ალექსის-ძე **ტალს,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის გამგეს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, პეტრე მთაფს-ძე **ატლასს,** მოსკოვის სახალხო მეურნეობის საქალაქო საბჭოს ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს, პაველ პავლეს-ძე **ბენედიქტოვს,** ამავე ქარხნის დირექტორს, — სამრეწველო პნევმოავტომატიკის ელემენტების უნივერსალური სისტემის შექმნისა და დანერგვისათვის.

4. ალექსანდრე ვასილის-ძე **ბუივოლოვს,** ვოლგა-ვიატკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტრომრეწველობის სამმართველოს უფროსს, სერგი ლეონტის-ძე **ვოლოდინს,** 500 კილოვატი ძაბვის ელექტროქსელების ექსპლოატაციის სამმართველოს უფროს ოსტატს, ალექსი მიხეილის-ძე **ფედოსეევს,** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, „ენერგოქსელპროექტის“ ინსტიტუტის განყოფილების უფროსს, ვიქტორ მიხეილის-ძე **ერმოლენკოს,** სერგი იაკობის-ძე **პეტროვს,** ამავე ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინრებს, მიხეილ თევდორეს-ძე **მელნიკოვს,** სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის გაერთიანებული სადისპეტჩერო მართვის რელეური დაცვის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სამსახურის უფროსის მოადგილეს, გენრიხ ბიკენტის-ძე **მიკუცკის,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სექტორის გამგეს, ევგენი დავითის-ძე **სპპირს,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სექტორის გამგეს, მიხეილ ივანეს-ძე **ცარიოვს,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის გამგეს, ელექტროენერგეტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებს, ნიკოლოზ ვასილის-ძე **ჩერნობროვოვს,** „მოსენერგოს“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს, — ზემაღალი ძაბვის შორ ელექტროგადაცემათა ხაზების რელეური დაცვის მოწყობილობათა და ავტომატიკის კომპლექსის შექმნისათვის.

5. გრიგოლ კუზმას-ძე **აგეევს,** „ლენინქვანახშირის“ ტრესტის ჩერკასკ-ჩრდილოეთის № 2 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს, ნიკოლოზ პეტრეს-ძე **ბიბკოს,** „კომუნარსკკვანახშირის“ ტრესტის კომისაროვსკის შახტსამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირს, მიხეილ ლუკას-ძე **ბოიკოს,** „კოროვქვანახშირის“ ტრესტის კოროვის სახელობის № 22 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს, ივანე დენისის-ძე **ზინჩენკოს,** „რუტჩენკოვქვანახშირის“ ტრესტის აბაკუმოვის სახელობის შახტის გვირაბგამყვანთა გამჭოლი კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, ნიკოლოზ გრიგოლის-ძე **კაშკაროვს,** უკრაინის კომპარტიის კოროვსკის სამრეწველო-საწარმოო კომიტეტის პირველ მდივანს, პაველ ანდრიას-ძე **ბუიდენკოს,** „კადიევქვანახშირის“ ტრესტის მთავარ ინჟინერს, ნიკოლოზ პაველს-ძე **მოსკალენკოს,** ზამკოვსკაიას № 2 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს, ივანე სიმონის-ძე **ჩალის,** ამავე ტრესტის ილიჩის სახელობის შახტსამმართველოს უფროსს, ივანე ალექსანდრეს-ძე **გრიგორიევს,** „ლისიჩანსკქვანახშირის“ ტრესტის მმართველს, იური პეტრეს-ძე **სმორჩკოვს,** „კრასნოდონქვანახშირის“ ტრესტის სუხოდოლსკაიას № 1 შახტის უფროსს, ალექსი ალექსანდრეს-ძე **დემენკოვს,** ანტრაციტის ტრესტის ნაგოლჩანსკაიას № 3 შახტის მთავარ ინჟინერს, ივანე ნიკიტას-ძე **დავიდოვს,** „შახტიორსკანტრაციტის“ ტრესტის № 4-9 შახტის გვირაბგამყვანთა გამჭოლი კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, ვიქტორ ბორისის-ძე **ბობირევს,** „კრასნარამეისკქვანახშირის“ ტრესტის № 2 შახტსამმართველოს უფროსს, — ლუგანსკის ოლქის შახტებსა და დონეცკის ოლქის მოწინავე შახტებში სამთო გვირაბების ჩქარული გაყვანის მეთოდების სრულყოფისა და ორგანიზაციისათვის.

6. სურენ მიხეილის-ძე **არუთინიანს,** დონეცკის ქვანახშირის მანქანათმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორს, ალექსანდრე ილიას-ძე **ბაშკოს,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დირექტორს, კონსტანტინე ივანეს-ძე **დიაჩენკოს,** ჯგუფის ხელმძღვანელს, გიორგი ალექსის-ძე **ლიტვინოვს,** ვლადიმერ ივანეს-ძე **რასპოპოვს,** პროექტის მთავარ კონსტრუქტორებს, ალექსანდრე დავითის-ძე **სუკაჩს,** განყოფილების უფროსს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, ალექსი პაველს-ძე **ბოჩკარიოვს,** გორლოვკის ქვანახშირის ტრესტის შახტ „კომკავშირელის“ კომბაინის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, პაველ ივანეს-ძე **გურიეს,** კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, სერგი ვლადიმერის-ძე **მიხეევს,** უბნის ყოფილ უფროსს, ამავე შახტის მუშაკებს, გრიგოლ ივანეს-ძე **კოვტუნს,** გორლოვკის ს. მ. კიროვის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორს, ვიქტორ თევდორეს-ძე **ლიაკინს,** გორლოვკის ქვანახშირის ტრესტის მმართველს, ნიკოლოზ იაკობის-ძე **მამაის,** კრასნოდარის ქვანახშირის ტრესტის სუხოდოლსკაიას № 1 შახტის კომბაინის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, სერგი ნიკოლოზის-ძე **ალექსანდროვს,** № 4-5 შახტის „ნიკიტოვკის“ კომბაინის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, რომლებმაც შექმნეს და დანერგეს კომბაინები ქვანახშირის ამოღების მექანიზაციისათვის დონბასის ციცაბო ფენებში.

7. ვლადიმერ ვლადიმერის-ძე **ანტონოვს,** ყოფილ მთავარ გეოფიზიკოსს, სოფიო გდალის ასულ **ბელკინას,** განყოფილების უფროსს, ალექსანდრე გრიგოლის-ძე **ბისტრიცკის,** სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ლევ ივანეს-ძე **როვნინს,** მთავარ გეოლოგს, ბორის ვლასის-ძე **საველიევს,** სურგუტის ნავთობსაძიებო ექსპედიციის უფროსს, სერგი გრიგოლის-ძე **ციბულინს,** მთავარ გეოფიზიკოსს, რაულიური გიორგის-ძე **ერვიეს,** სამმართველოს უფროსს, ალბერტ გრიგოლის-ძე **ოუდინს,** ნარიკარის ექსპედიციის მთავარ გეოლოგს, ტიუმენის გეოლოგიური სამმართველოს მუშაკებს, ვლადიმერ პანტელეიმონის-ძე **კაზარინოვს,** გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ციმბირის გეოლოგიის, გეოფიზიკისა და მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სექტორის გამგეს, ნიკოლოზ ნიკიტას-ძე **როსტოვცევს,** გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის დირექტორს, მიხეილ კალინიკეს-ძე **კოროვინს,** გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ვასილ დმიტრის-ძე **ნალივკინს,** გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საბჭოთა კავშირის ნავთობის გეოლოგიურ-საძიებო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელს, ტატიანა ივანეს ასულ **ოსიკოს,** გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, გეოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების უფროსს, — დასავლეთ ციმბირის დაბლობის ნავთობგაზიანობის პერსპექტივების მეცნიერული დასაბუთებისა და ამ პროვინციაში ბერეზოვსკის პირველი ნავთობგაზიანი რაიონის აღმოჩენისათვის.

8. ოლეგ ალექსის-ძე **სემიონოვს,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, უკრაინის მილის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, გრიგოლ იაკობის-ძე **ოსტრინს,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ვიქტორ ფილიპეს-ძე **ფროლოვს,** უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, ალექსანდრე კუზმას-ძე **სამილინს,** ლაბორატორიის ხელმძღვანელს, სერგი მიხეილის-ძე **მიასოედის,** სექტორის ხელმძღვანელს, მიხეილ სიმონის-ძე **გონჩარევსკის,** განყოფილების ხელმძღვანელს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, სოლომონ აბო-შოილეს-ძე **შაიკევიჩს,** პეტროფურალსკის ახალი მილების ქარხნის საამქროს უფროსს, სერგი იოსების-ძე **ვასილენკოს,** ნიკოპოლის მილების მეტალურგიული ქარხნის მთავარ ინჟინერს, გიორგი ალექსის-ძე **სედიხს,** საამქროს უფროსს, გრიგოლ ნიკანდროს-ძე **ნაუმენკოს,** საამქროს უფროსის მოადგილეს, ამავე ქარხნის მუშაკებს, ზელმან აბელის-ძე **სომინსკის,** სინარსკის მილების ქარხნის მთავარ ინჟინერს, — თბილი გაგლინვის წესით უკანგავი მილების დამზადების ახალი მაღალწარმადობის პროცესის შექმნისა და სამრეწველო წარმოებაში დანერგვისათვის.

9. ხანან ილიას-ძე **იზაკსონს,** ტაგანროგის კომბაინის ქარხნის მარცვალასაღები კომბაინებისა და თვითმავალი შასების სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორს, ევგენი ალექსანდრეს-ძე **გორბაჩოვს,** ბიუროს უფროსის მოადგილეს, ალექსანდრე ტროფიმეს-ძე **ანაშკინს,** ევგენი კონსტანტინეს-ძე **რუმიანცევს,** ვიქტორ გიორგის-ძე **შუმაკოვს,** განყოფილებათა უფროსებს, ამავე ბიუროს მუშაკებს, ალექსანდრე მათეს-ძე **მერკულოვს,** როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორს, ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე **ლუტაის,** ტაგანროგის კომბაინის ქარხნის დირექტორს, ვასილ ალექსანდრეს-ძე **ივანოვს,** ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარეს, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის ყოფილ დირექტორს, ივანე ანდრიას-ძე **კოვალს,** ხარკოვის მოტორსამშენებლო ქარხნის „ნამგალი და უროს“ მთავარ კონსტრუქტორს, ნოსან შნეურის-ძე **აბელევს,** ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამმართველოს ყოფილ უფროსს, ვალერიან ივანეს-ძე **ოვჩაროვს,** ხარკოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ავტოსატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს, — სკ-4 მარცვლის ასაღები კომბაინის კონსტრუქციის შექმნისა და მასი მასობრივი წარმოების ორგანიზაციისათვის ტაგანროგის კომბაინისა და როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელ სპეციალიზებულ ქარხნებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტმა დაადგინა მიენიჭოს 1964 წლის ლენინური პრემიები ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისთვის:

ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის დარგში

1. ალექსანდრე ტერენტის-ძე **გონჩარს** — რომანისათვის „ტრონკა“.
2. ვასილ მიხეილის-ძე **პესკოვს** — წიგნისათვის „ნამიანში“.

ხელოვნების დარგში

3. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **დეინეკას** — მოზაიკური ნამუშევრათა კომპლექსისათვის: „წითელგაჯარდიელი“, „მწველავი“, „კარგი დილა“, „ჰოკეისტები“.
4. მაია მიხეილის ასულ **პლისეცკაიას** — საბჭოთა და კლასიკური რეპერტუარის ბალეტებში როლების შესრულებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე.
5. მსტისლავ ლეონოვლის-ძე **როსტროპოვიჩს** — საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის (1961-1963 წლების პროგრამები).
6. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **ჩერკასოვს** — დრონოვის როლის შესრულებისათვის მხატვრულ ფილმში „ყველაფერი ადამიანებს რჩებათ“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტმა მიმდინარე წელს მიიღო მშრომელთა ბევრი წერილი, საზოგადოებრივი განხილვის მასალები და გამოხმაურება იმ კანდიდატურების შესახებ, რომლებიც წამოყენებული იყო 1964 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად, ამან კომიტეტს შესაძლებლობა მისცა ფართოდ გასცნობოდა საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრს.

კომიტეტი მადლობას უძღვნის ყველა ორგანიზაციასა და ცალკეულ მშრომელებს, რომლებმაც გამოგზავნეს ეს მასალები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება

ამ ბოლო დროს ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსა და ხალხის აქტიური, ბეჯითი მეცადინეობის შედეგად მიღწეულია საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება. სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა იმან, რომ დაიდო ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ — ისტორიაში პირველი შეთანხმება, რომლის მიზანია შეაფერხოს გამალებული ატომური შეიარაღების შემდგომი გაძლიერება.

ხალხები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებას ატომური იარაღით აღჭურვილი ობიექტების ორბიტაზე გაყვანის აკრძალვის შესახებ, რომელიც განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციით. საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მთელმა რიგმა სხვა სახელმწიფოებმა განახორციელეს ღონისძიებანი, რათა რამდენადმე შეიმცირებინათ თავიანთი სამხედრო ბიუჯეტები 1964 წლისათვის.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის გარკვეულ განმტკიცებას და უფრო ხელშემწყობი ვითარების შექმნას შედგომ ღონისძიებათა მისაღებად, რომლებსაც მოპყვებოდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, მთავარი პრობლემის — განიარაღების პრობლემის გადაჭრა.

საბჭოთა მთავრობა, მოითხოვს რა განიარაღების პრობლემის უსწრაფესად გადაჭრას, გამალებული შეიარაღების, განსაკუთრებით ატომური შეიარაღების შეწყვეტის ქმედით ღონისძიებათა განხორციელებას, ცდილობს გამოიყენოს ყოველი შესაძლებლობა, რათა საერთაშორისო საქმეებში მიიღწიოს ურთიერთგაგებას სხვა სახელმწიფოებთან იმის შესახებ, რომ საჭიროა თავიდან აცილებულ იქნას ატომური ომი.

საბჭოთა მთავრობის სახელით მინდა განვაცხადო, რომ ახლა ასეთი ურთიერთგაგების გაუმჯობესების შესაძლებლობა შეიქმნა ატომური იარაღისათვის საჭირო ხლეჩადი მასალების წარმოების საკითხთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ ატომური იარაღის წარმოებისათვის საწყისი მასალებია პლუტონიუმი და ურანი — 235. სწორედ მათ ატომებში წარმოიშობა ჯაჭვური რეაქციები, რომლებიც წარმოქმნიან გამანადგურებელ ატომურ აფეთქებებს. უკვე მრავალი წლის განმავლობაში ატომური სახელმწიფოები განუწყვეტლივ ზრდიან პლუტონიუმისა და ურან-235-ის თავიანთ მარაგს, ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, თუ ვის უფრო მეტი ექნება ეს მასალები ატომური იარაღისათვის, და ამასთან ეწევიან მეტად მნიშვნელოვან ხარჯებს, რადგან პლუტონიუმისა და ურან-235-ის წარმოება ხორციელდება იმ ტექნოლოგიური პროცესების საფუძველზე, რომლებსაც სჭირდება ძვირადღირებული მოწყობილობა და ენერგიის დიდი დანახარჯები.

გამალებული ატომური შეიარაღება, ატომურ სახელმწიფოთა შეჯიბრება ხლეჩადი მასალების დაგროვებისათვის საბჭოთა კავშირის ინიციატივით როდი დაიწყო. ჩვენ როდი შევიტანეთ პირველმა სამხედრო არსენალებში მახობრივი მოსპობის ეს საზარელი იარაღი. მაგრამ ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი ქვეყნისა და ყველა სოციალისტური სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის და ვაკეთებდეთ ამას იმ მასშტაბით, რომელსაც ვითარება მოითხოვს.

ახლა დადგა ისეთი მომენტი, როცა შეიქმნა შესაძლებლობა, გადავდგათ ნაბიჯები, რათა შევამციროთ ხლეჩადი მასალების წარმოება სამხედრო მიზნებისათვის. საბჭოთა მთავრობამ ვალი დაინიშნა ის საკითხი, თუ რა ფარგლებში შეუძლია ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ასპარეზზე ატომური ძალიერების ახლანდელი თანაფარდობის პირობებში წავიდეს ამ მიმართულებით, ამასთან არავითარ შემთხვევაში არ შეასუსტოს საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა და რაკეტულ-ატომური ფარის სიმტკიცე, რომელიც საიმედოდ უზრუნველყოფს სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის უშიშროებას.

საბჭოთა მთავრობამ გულდასმით აწონ-დაწონა ყველა მოსაზრება, რომლებიც ეხება ერთი მხრივ საბჭოთა კავშირისა და მეორე მხრივ ნატოს მონაწილე ატომურ სახელმწიფოთა ატომურ პოტენციალებს, ანალიზი გაუკეთა ამ საკითხს მთელ ვითარებას და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. უკვე ამჟამად შეწყვეტოს პლუტონიუმის საწარმოო ორი დიდი ახალი ატომური რეაქტორის მშენებლობა.

2. უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეამციროს ატომური იარაღისათვის საჭირო ურან-235-ის წარმოება.

3. შესაბამისად გამოიყენოს მეტი ხლეჩადი მასალები მშვიდობიანი მიზნით — ატომურ ელექტროსადგურებში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, დიდი მეცნიერულ-ტექნიკური პროექტების განხორციელებაში, მათ შორის ზღვის წყლის გამტკნარების დარგში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ა. დუგლას-ჰიუმმა მაცნობეს, რომ გამოაქვეყნებენ განცხადებებს სამხედრო მიზნებისათვის საჭირო ხლეჩადი მასალების წარმოების შემცირების იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც განახორციელებენ შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ ახალ ნაბიჯს, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ არის ფაქტიური განიარაღება, ხალხები მიიჩნევენ იმ კურსის განგრძობად, რომელიც ავიღეთ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადებისას, და რომ იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაუმჯობესებას. მაგრამ საჭიროა განვაგრძოთ ეს გზა. საბჭოთა მთავრობის ღრმა რწმენით, საჭიროა მეტი მეცადინეობა, რათა გამოვნახოთ განიარაღების ძირითადი საკითხების გადაჭრის გზები, განვახორციელოთ სულ უფრო ქმედითი ღონისძიებანი საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად. ამას მოითხოვს ყველა სახელმწიფოს, ყველა ხალხის საარხებო ინტერესები. საბჭოთა მთავრობა მზად არის იმისათვის, რომ სხვა სახელმწიფოებთან თანხმობით გადადგას ასეთი შემდგომი ნაბიჯები.

ვ. ი. ლენინთან საქართველოს ბოლშევიკების შეხვედრებისა და მეგობრების ზოგიერთი მოგონება

ვ. ი. ლენინს უაღრესად მჭიდრო და სისტემატური კავშირი ჰქონდა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, იგი პირადად იცნობდა საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული მუშაკთა დიდ ნაწილს, ბევრ მათგანთან ახლო ურთიერთობა და პირადი მეგობრობა ჰქონდა.

ვ. ი. ლენინთან ამ პირად ურთიერთობასა და სიახლოვეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მხრივ, ამ პირადი ურთიერთობის საშუალებით საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები უშუალოდ ლენინისაგან იყვნენ ინფორმირებული პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, ეცნობოდნენ მიმდინარე მომენტის ამოცანებს, პირადად ვ. ი. ლენინისაგან იღებდნენ ბრძნულ რჩევა-დარიგებას, საჭირო მითითებებს. ხშირად ისინი ერთ-ერთი პირველები ეცნობოდნენ ვ. ი. ლენინის ახლად დაწერილ გამოუქვეყნებელ ნაშრომებსა და წერილებს; მეორე მხრივ, დიდი ბელადის ეს სიახლოვე და მეგობრული ურთიერთობა აღაფრთოვანებდა საქართველოს ბოლშევიკებს, ახალ ძალას, ენერგიას მატებდა მათ და განუმტკიცებდა ლენინურ იდეალისადმი რწმენასა და ერთგულებას.

ამ სტატიაში გვინდა მკითხველებს გავაცნოთ ვ. ი. ლენინთან საქართველოს ბოლშევიკების პირადი შეხვედრებისა და მეგობრობის ზოგიერთი მომენტი, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ფიქსირებულია წერილობით დოკუმენტებში, პირად მიწერ-მოწერასა და მოგონებებში, გაბნეულია არქივებსა თუ ცალკეულ მოღვაწეთა პირად ფონდებში, ან სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში.

ქართველი რევოლუციონერები ვ. ი. ლენინთან პირველ ურთიერთობას ამყარებენ მიწერ-მოწერის გზით ჯერ კიდევ 1901 წლიდან, ხოლო პირადი ნაცნობობა და ურთიერთობა იწყება 1904 წლიდან.

როგორც ჯერჯერობით გამორკვეულია, პირველი ქართველი ბოლშევიკი, რომელიც პირადად გაეცნო ვ. ი. ლენინს, იყო **მალაქია ტოროშელიძე.**

1904 წლის ვ. ი. ლენინი იმყოფებოდა ჟენევაში. იქ იმ დროს ჩავიდა მ. ტოროშელიძე და შეხვდა ს. შაუმიანს, რომელიც უკვე კარგად იცნობდა ვ. ი. ლენინს. მ. ტოროშელიძემ განუცხადა შაუმიანს, რომ დიდი სურვილი აქვს და ოცნებობს პირადად გაიცნოს ვ. ი. ლენინი და სთხოვა მოგზერხებინა მასთან შეხვედრა. ამაზე შაუმიანს უპასუხნია: „**მაგაზე ადვილი რა არის, ხვალვე წავიდეთ მასთან და გაგაცნობო**“.

მართლაც მეორე დღესვე მისულან ვ. ი. ლენინთან ბინაზე, სადაც ლენინთან შეხვედრია მ. ტოროშელიძეს აღწერილი აქვს შემდეგნაირად: „შევედით ლენინს ოთახში. მე იქ ლენინი ვერ დავინახე. საკარძელზე გაწოლილიყო ვიღაც კაცი, რომელიც გაზეთს კითხულობდა. ვინ უნდა იყოს ის?

ასე ვფიქრობდი და თვალებით ლენინს ვეძებდი. ეს ძიება მხოლოდ ორი-სამი წამი გაგრძელდა... უცაბედად ჩემი ყურადღება მიეპყრო სხვა გარემოებას, სახელდობრ: შაუმიანი უკვე მისული სავარძელზე მწოლიარესთან, მორიდებით ამთქვეს მას ხელს და უკვე აცნობს ჩემს თავს.

— ამხანაგი, რომელიც ახლა ჩამოვიდა კავკასიიდან...

ის მიწვდის ხელს და რაღაცას მეკითხება. მე კითხვა არ მესმის და მხოლოდ განცვიფრებად ვარ გადაქცეული... მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ლენინმა უკვე დაიწყო ლაპარაკი, თვითონ დაიწყო ლაპარაკი საქმეზე. მე სმენად გადავიქეცი.

ვუყურებდი მას სიყვარულით და ვფიქრობდი: აი ვინ არის იდეის და პრინციპის კაცი..., რომელსაც თავისი თავი გადაუდვია იდეის სამსახურისათვის, შემდგომ ... ბელისუფლების დამყარების შემდეგ მ. ცხაკაიას არაერთხელ შეხვედრია ლენინს და უსაუბრნია მასთან საქართველოს სოციალიზმის მშენებლობის საკითხებზე საქართველოში.

ალიოშა ჯაფარიძე ვ. ი. ლენინს გაეცნო 1905 წელს, პარტიის III ყრილობაზე (ლონდონში). იგი ამ ყრილობას ესწრებოდა როგორც ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი. ა. ჯაფარიძე რამდენჯერმე გამოვიდა სიტყვით, რაც ლენინს ყურადღებაზე მიიქცია. ლენინს განსაკუთრებით მოეწონა ა. ჯაფარიძის სიტყვა პარტიულ კომიტეტებში მუშა სოციალ-დემოკრატების შეყვანის შესახებ.

ყრილობის შემდეგ ვ. ი. ლენინმა ა. ჯაფარიძე მიიწვია თავის ბინაზე და ხანგრძლივად ესაუბრა ბაქოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკების მუშაობის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ. საუბრის დამთავრების შემდეგ, წამოსვლისას ალიოშამ მიმართა ლენინს: ვლადიმერ ილიას-ძეს, ჩვენ უკან გავემგზავრებით პარიზზე გავლით. რას გვირჩევთ ენახოთ იქ ხელოვნების ძეგლებიდან? ლენინმა და კრუპსკაიამ ურჩიეს ენახა როდენის ქანდაკება „მოაზროვნე“. ჯაფარიძემ მართლაც ნახა ეს ქანდაკება. ამასთან დაკავშირებით ყრილობის ერთ-ერთი მონაწილე გ. კრამოლნიკოვი, რომელმაც ჯაფარიძესთან ერთად დაათვალიერა დასახელებული ქანდაკება, წერდა: „ჩვენ პირველად ვერ გავიგეთ, რატომ მოეწონა ასე ილიჩს ეს ქანდაკება, მაგრამ შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, რა უდიდესი პედაგოგები იყვნენ ლენინი და მისი ერთგული მეგობარი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული. უცქეროდნენ რა მუშის ფიგურას, მის დაკორძებულ ხელებს, გრძნობდნენ რა მის ღრმა აზრს, ლენინი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ოცნებობდნენ იმაზე, რომ დადგება დრო, როცა ამოივსება უფსკრული ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის“.

1906 წლის იანვარში პირადად გაიცნეს ვ. ი. ლენინი **ვ. სტურუამ, ს. თოდრიამ** და **ა. ენუქიძემ,** რომლებიც იმ ხანად მუშაობდნენ პეტერბურგში არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში, ხოლო შემდეგ ფინეთში მოწყობილ სტამბაში. ლენინი ხშირად დადიოდა ამ სტამბებში, ესაუბრებოდა, აძლევდა დავალებებს, ამხნევებდა, გამარჯვების რწმენას უნერგავდა მათ.

ვ. სტურუა მოგონებაში გადმოგვცემს, რომ იგი პირადად ლენინისაგან იღებდა დავალებებს. მაგალითად, 1907 წელს ლენინმა მას დაავალა გამგზავრებულიყო საქართველოში და ეშოვნა პასპორტის წიგნაკები და ბლანკები. დავალება შესრულებულ იქნა (შეიძლება ამასთან იყოს დაკავშირებული ის ფაქტი, რომ ვ. ი. ლენინს სწორედ ამ პერიოდში ფინეთში ყოფნისას პასპორტი ჭართულ გვარზე, ჩხეიძის სახელზე ჰქონდა). დაბრუნებისას ლენინმა დაწერილებით გამოკითხა საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ. როცა სტურუას მოუხსენებია, საქართველოში მეწმენეკიები მომძლავრდნენ, მაგრამ მიხა ცხაკაია ზის პროფკავშირებში და თავს უყარის და რაზმავს მუშებსო, ვ. ი. ლენინს უთქვამს: „—იქ წმინდა ულელს ბენშევიკები — კოსტროვი (ტორდანია) და სხვები არიან, მაგრამ ამბ. მიხაც მათ ვალს არ შეარჩენსო“.

ს. თოდრია შემდეგაც რამდენჯერმე შეხვდა ლენინს კომინტერნის კონგრესებზე, ხოლო ა. ენუქიძე, როგორც ცნობილია, ლენინთან მუშაობდა, დიდხანს იყო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი და, ამას გარდა, ლენინს არა ერთი სხვა დავალება შეასრულებია. ა. ენუქიძე თავის მოგონებაში ნათლად ახასიათებს ლენინის დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, მათზე განუწყვეტელ ზრუნვას და მოჰყავს ერთი ასეთი მაგალითი პირადი ცხოვრებიდან. როცა ის პეტერ

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ V ყრილობა

რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ V ყრილობა. საქმიან პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ო. დ. გოცირიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ა. როდიონოვი და დ. გ. სტურუა, საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. მ. ხლებნიკოვი, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, წარმოების ნოვატორები.

ტაშის გრიალში დელეგატებმა ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

პ. ა. როდიონოვმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმების ტექსტი საზოგადოება „ცოდნის“ V. ყრილობისადმი.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. პახრაკინმ, სარევიზიო კომისიის ანგარიში — პროფესორმა რ. ფულუკიძემ.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სექციის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, საზოგადოების აფხაზეთის საოლქო განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ვ. იმარდაშვა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ძ. ბახტაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. მეტრეველი, საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. მამასახლისოვი, საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი რ. ასაევი, საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ხლებნიკოვი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ბ. ულენტი, საზოგადოების ქუთაისის საქალაქო განყოფილების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ს. ფხაკაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა. ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დოცენტ პ. პაპახიძის მოხსენება.

სომხეთის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის სახელით ყრილობის დელეგატებს მიესალმა ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე პროფესორი ზ. გაშინზალიანი. ყრილობაზე წაიკითხეს მისალოცი დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს რუსეთის სფსრ, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობებმა.

ყრილობის დელეგატებმა მისალმება გაუგზავნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მისალმების ტექსტი წაიკითხა პროფესორმა პ. ულენტმა.

არჩეულია საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ IV ყრილობის დელეგატები.

ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის შემდგომ გაუმჯობესებას. (საქდესი).

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ეს პორტრეტი რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პ. ვასილიევმა გამოუგზავნა ჩვენი გაზეთის რედაქციას წარწერით: „ბაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს კეთილი სურვილებით. პ. ვასილიევი. 20. IV. 64 წ.“

ხალხი უმღერის

სიტყვა მოვა მარგალიტად

ფრთა შეისხით, სტრიქონებო,
და იქროლეთ არწივთ გუნდად,
დაეფინეთ მზობელ მხარეს
ვარდებად და იაგუნდად.

ლენინს გულით მოვიგონებ,
სიტყვა მოვა მარგალიტად,
ძმობასა და მეგობრობას
დაედება გზად და ხიდად.

ნიკო ბულალაური,
ხალხური მთქმელი, დუშეთი.

მარად უკვდავი

ლენინი ხალხის მზე არი,
გულში სიამის მატება,
ის არის ჩვენი ცხოვრების
მარად უკვდავი ნათება.

მისი გონების ნათელი
სამყაროს გადაფენია.
მწვერვალებისკენ ვიჩქარით,
გზას გვიკვლევს დიდი გენია.

ზაქრო ფილაშვილი,
ხალხური მთქმელი,
სამგორი.

ჩვენი გული ხარ

ერების საძმოდ შეხძელი
ოქროს ხიდების აგება,
შეაკავშირე ხალხები
უწყვინარ ამხანაგებად...
ასწავლე გზები წინსვლისა,
აშართა გაჩანაგება.

შექმენი დიდო სამშობლო —
უძლეველობის ჯავშანი,
კომუნისტური პარტია —
ჩვენი მზე, მტრისთვის ლახვარი.

ლენინ! შენ ჩვენი გული ხარ,
ხალხის ძლიერი მარჯვენა.
გააარწყვე გმირები
მაღალ მწვერვალზე საფრენად.
და რაც დიდება შეგფერის —
ველარ გამოთქვამს მას ენა.

გიორგი მარცვალაშვილი,
სოფელი ჩარგალი.

დიდი მიზანი

მზემ და სიცოცხლემ გამაარწივა,
სად არ ვიყავი, რა არ ვიხილე?!
სამშობლოს მცველი ჯარისკაცი ვარ,
ქარხნის მუშა ვარ, მეზვრე, მეხილე.

კომუნიზმია ჩემი მიზანი,
ჩემი ლტოლვა და თვალის ახელა.
ლენინის დროშა მომაქვს, მიცანით —
ახალგაზრდობა მქვია სახელად.

ზოთა ზოიძე.
ბათუმი.

ლენინის ფიქრი

გვინდა ავვარდეთ ვარსკვლავთა ზემოთ,
ვნახოთ, თუ მარსზეც მართლა სახლობენ?
შენი მადლია, პარტიავ ჩვენო,
ცისა და მიწის ეს სიახლოვე.

ვინ არის ქვეყნად სხივის დამთვლელი,
მზე რომ კაშკაშით ციდან გვიგზავნის!
ისე დიდია და შუქნათელი
ლენინის ფიქრი, გზა და მიზანი.

ალაზა ხაიაური.

ვინ შეინახა ილიჩის პორტრეტი? ერთი ნაპოვნის ამბავი

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის კიევის ფილიალის უამრავ ექსპონატს შორის ყურადღებას იპყრობს ილიჩის პატარა პორტრეტი. ეს პორტრეტი სულ ახლახან გაჩნდა აქ და მან მაშინვე დაინტერესა მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები.

უჩვეულოა ამ პორტრეტის ისტორია. გასული ზაფხულის მიწურულში მიმდინარეობდა ძველი შენობის კაპიტალური რემონტი, რომელშიც ახლა უკრაინის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობაა მოთავსებული. ერთ-ერთი ბუხრის დაშლისას ალმოაჩინეს სამალავი და მის სიღრმეში დახვეული სქელი ქაღალდის ფურცელი. ეს იყო ვ. ი. ლენინის სტამბური პორტრეტი.

ვინ შეინახა იგი და რა ვითარებაში?

ყოველივე ეს ძალიან გვაინტერესებს, თქვა მუზეუმის ფილიალის დირექტორმა ა. გორობეიმ. სამართლის დასადგენად პორტრეტი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში გავზავნეს შესამოწმებლად.

მოსკოვიდან აცნობეს, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაპოვნი რევოლუციის ბელადის ფოტოპორტრეტების ერთ-ერთი პირველი გამოცემაა. იგი ილიჩის ერთ-ერთი პირველი ფოტოსურათის მიხედვით არის დამზადებული, ეს ფოტოსურათი კი მ. ნაპელბაუმმა გადაიღო პეტროგრადში 1918 წლის იანვარში. ეს ის ეგზემპლარი იყო, რომელიც ვ. ი. ლენინმა აჩუქა ფოტოგრაფს საკუთარი ავტოგრაფით.

როგორც ჩანს, განაგრძო გორობეიმ, პორტრეტი სამოქალაქო ომის წლებში შეუნახიათ. ამ შფოთიან დროს ასეთი ფოტორეპროდუქციები ძალიან იშვიათი იყო. მათ დიდი საგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდათ. როცა კიევიდან მიდიოდნენ, ჩვენს ამხანაგებს მტკიცედ სწამდათ, რომ მალე კვლავ დაბრუნდებიან და გადაწყვიტეს ძვირფასი ადამიანის პორტრეტი სამალავში შეენახათ.

რა დაემართა ამ ხალხს? შეიძლება ისინი დაიღუპნენ, როცა საბჭოების ხელისუფლებას იცავდნენ უკრაინაში, შესაძლოა რომელიმე მათგანი ცოცხალიც გადარჩა.

კიევი. **ვ. ლასკავი.**
(საკდესის კორ.).

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში ვ. ი. ლენინის იდეების ჩაუქრობელი შუქით განათდა კიდევ ერთი ახალი დარბაზი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 94 წლისთავს მიეძღვნა ლენინიანად წოდებული ნათელ და მხატვრულ ფორმებში გადაწყვეტილი დარბაზი, სადაც თავმოყრილია ვ. ი. ლენინის ლიტერატურული მემკვიდრეობა — მარქსისტულ-ლენინური პარტიის თეორიული და პოლიტიკური საფუძვლების ყოვლისმძლე მოძღვრება.

ახალი დარბაზი უჩვეულოდ არის ჩაფიქრებული. მუზეუმის მთავარმა მხატვარმა ნიკოლოზ აბესაძემ არქიტექტურული და მხატვრული გაფორმების სრული ანსამბლი შექმნა.

ჩვენში და მთელ მსოფლიოში ლენინის იდეების ტრიუმფს ბრწყინვალედ გადმოგვცემს დარბაზის ზემო ნაწილის ფრიზული მოხატულობა, რომელიც ერთგვაროვან აგვირგვინებს დეკორაციულ პანოს. ფრიზული მოხატულობა შექმნა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა რ. სტურუამ.

ფრაგმენტები მიგვითითებს ვ. ი. ლენინის წიგნსწარმეტყველებაზე და ბრწყინვალედ გადმოგვცემს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, აფრიკისა და კოლონიური ქვეყნების ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას. საბჭოთა ხალხს შემოქმედებითი შრომის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, კოსმოსის ათვისების მხატვრულ ფერებში ასახვა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

დახრილი დროშების რიგს დამთვალიერებელი მიჰყავს კრემლის კედლის ფრაგმენტთან, სადაც მრავალკუთხა მინის ჩარჩოში ბელადის ნიღბის გამოსახულებაა, დროშების ინტერვალებში ვკითხულობთ რკბ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმის მიმართვას „პარტიისადმი, ყველა მშრომელისადმი“, რომ „მარქსის შემდეგ პროლეტარიატს არასოდეს არ მოუცია ისეთი გიგანტური ფიგურა, როგორიც იყო ვ. ი. ლენინი“.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში ვ. ი. ლენინის იდეების ჩაუქრობელი შუქით განათდა კიდევ ერთი ახალი დარბაზი.

ჩაუქროგელი შუქი

ნასწარმეტყველებაზე და ბრწყინვალედ გადმოგვცემს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, აფრიკისა და კოლონიური ქვეყნების ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას. საბჭოთა ხალხს შემოქმედებითი შრომის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, კოსმოსის ათვისების მხატვრულ ფერებში ასახვა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

დახრილი დროშების რიგს დამთვალიერებელი მიჰყავს კრემლის კედლის ფრაგმენტთან, სადაც მრავალკუთხა მინის ჩარჩოში ბელადის ნიღბის გამოსახულებაა, დროშების ინტერვალებში ვკითხულობთ რკბ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმის მიმართვას „პარტიისადმი, ყველა მშრომელისადმი“, რომ „მარქსის შემდეგ პროლეტარიატს არასოდეს არ მოუცია ისეთი გიგანტური ფიგურა, როგორიც იყო

გულითადი მილოცვები, კეთილი სურვილები

მხურვალედ ულოცავენ და ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ახალ წარმატებებს უსურვებენ ნ. ს. ხრუშჩოვს ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის:

უკრაინის კომპარტიის ვინიცის სასოფლო საოლქო კომიტეტი და სასოფლო-საოლქო აღმასკომი;

უკრაინის კომპარტიის ხარკოვის სასოფლო საოლქო კომიტეტი და სასოფლო საოლქო აღმასკომი;

სკკპ კომის საოლქო კომიტეტი, კომის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

უკრაინის კომპარტიის ხერსონის სასოფლო საოლქო კომიტეტი და სასოფლო საოლქო აღმასკომი;

უკრაინის კომპარტიის ხმელნიცკის სასოფლო საოლქო კომიტეტი და სასოფლო საოლქო აღმასკომი;

უკრაინის კომპარტიის დონეცკის სამრეწველო საოლქო კომიტეტი და სამრეწველო საოლქო აღმასკომი;

უკრაინის კომპარტიის ოდესის სამრეწველო საოლქო კომიტეტი;

სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

სკკპ ტამბოვის სასოფლო საოლქო კომიტეტი;

უზბეკეთის კომპარტიის სამარყანდის საოლქო კომიტეტი და საოლქო აღმასკომი;

ამერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო;

ურალის ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები;

პერმის ოლქის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები;

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები;

საქართველოს სსრ ზნაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტკომი, რაიაბჭოს აღმასკომი და კომკავშირის კომიტეტი;

რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ა. კაროვი;

საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი;

მწერლები ვ. ლ. ვასილევსკაია, ა. ე. კორნეიჩუკი;

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული შავი და ფერადი მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა კოლექტივი;

სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა კოლექტივი;

სსრ კავშირის რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა კოლექტივი;

უოტმირის ოლქის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი ნ. გ. ზაგლადა;

მწერალი ვ. მ. კოჟევნიკოვი;

მწერალი კ. მ. სიმონოვი;

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სათბობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა კოლექტივი;

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტის კოლექტივი;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაკთა კოლექტივი;

სსრ კავშირის სახმშენთან არსებული საშენ მასალათა მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა კოლექტივი;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა კოლექტივი;

დნეპროპეტროვსკის გ. ი. პეტროვსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე სოციალისტური შრომის გმირი პეტრე მახოტა;

მწერალი ნ. ს. ტიხონოვი;

სსრ კავშირის პროკურატურის მუშაკთა კოლექტივი;

მოგილიოვის მეტალურგიული ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივი, ბელორუსიის სსრ;

ხარკოვის ოლქის ვოლჩანსკის რაიონის პარტიის XVIII ყრილობის სახელობის კომუნისტური შრომის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები;

კურსკის ოლქის დმიტრიევის რაიონის სვერდლოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები;

მწერალი სტეფანე ოლეინიკი;

სუნჟის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელი „გამარჯვების“ კოლმეურნეები, ჩერნიგინ-ინგულეთის ასსრ;

ჩრდილოეთის ფლოტის ნაყალქვეშელები;

დონეცკის ოლქის ვოლიკაია ნოვოსელოიოლის რაიონის გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშები და მოსამსახურეები;

სახალინის ოლქის „მაკარიევკის“ შახტის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები;

სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის მუშაკთა კოლექტივი;

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მუშაკთა კოლექტივი;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის კოლეგია;

პრესის საგენტო „ახალი ამბების“ მუშაკთა კოლექტივი;

მოსკოვის ჭარხანა „კაუჩუკის“ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები;

მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხანა „კალიბრის“ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები;

გაზეთ „ტრუდის“ ზვეზდის“ რედაქციის კოლექტივი;

მოსკოვის მეტრომშენის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები;

ეურნალ „რაბოტნიცას“ რედაქციის კოლეგია,

ვორონეჟის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები;

სსრ კავშირის ეურნალისტთა კავშირის გამგეობა;

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ავტოსატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა კოლექტივი;

გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ რედაქციის კოლექტივი;

სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა კოლექტივი;

მოსალმებანი ნ. ს. ხრუშჩოვისადმი კვლავ მოდის.

ბაკინელ კომისრებზე

ბაკინელ კომისრებზე ბევრი ლაპარაკობენ, ბევრ ლექსს, ბევრ ლეგენდას ამბობენ, ბევრ ფერწერულ ტილოს ხატავენ. ეს ბევრი ალბათ ბევრ ადამიანს ეზარებოდა, ეზარებოდა ბევრ ადამიანს ეფიქრა, ეფიქრა ბევრ ადამიანს ეფიქრა, ეფიქრა ბევრ ადამიანს ეფიქრა, ეფიქრ

საერთაშორისო დეკადეები ცნობილი ქვეყნები ცხოვრება

გარდაიცვალა დიმიტრი განევი

სოფია, 21 აპრილი (საკადესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 20 აპრილს, 21 საათსა და 25 წუთზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დიმიტრი განევი.

დ. განევის გარდაცვალების გამო მთელ ბულგარეთში სამი დღის გლოვა გამოცხადდა.

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია დიმიტრი განევის დაკრძალვაზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის დიმიტრი განევის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნონ მთავრობის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური); სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. კოზლოვი; სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ნ. ორგანოვი.

საკლესის განცხადება

19 აპრილს ლაოსის დედაქალაქ ვიენტიანში რეაქციონერ გენერალთა და ოფიცერთა ჯგუფმა კუ პრასიტ აბხაის მეთაურობით სცადა მოეხდინა სამხედრო გადატრიალება, რათა დაემხო ლაოსის ეროვნული ერთიანობის კოალიციური მთავრობა, რომელსაც სგთაველი უდგას პრინცი სუვანა ფუმა.

ამასთან დაკავშირებით საკლესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

არ შეიძლება არ ჩავთვალოთ, რომ ლაოსის უკიდურესი მემარჯვენე რეაქციული ძალების ცდა მოეხდინათ გადატრიალება — ეს არის პირდაპირი ხელყოფა ჟენევის შეთანხმებებისა, რომლებმაც განსაზღვრეს ლაოსის, როგორც დამოუკიდებელი, მშვიდობიანი და ნეიტრალური სახელმწიფოს საერთაშორისო სტატუსი, რომ ეს არის მისწრაფება ჩაშალოს შინაპოლიტიკური პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგება და კვლავ თავს დაატეხოს ლაოსს სამოქალაქო ომი.

თითქმის ორი წლის განმავლობაში, რაც გავიდა კოალიციური მთავრობის შექმნისა და ჟენევის შეთანხმებათა ხელმოწერის შემდეგ, ლაოსის მემარჯვენე დაჯგუფების რეაქციული ელემენტები დაჟინებით უწევდნენ წინააღმდეგობას იმას, რომ ლაოსს განეხორციელებინა მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და გადაეჭრა საარსებო საერთო-ეროვნული ამოცანები სამ პოლიტიკურ მხარეს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. ამავე დროს მემარჯვენე დაჯგუფების შეიარაღებული ძალები იყენებდნენ სამხედრო დახმარებას, რაც ჟენევის შეთანხმებათა წინააღმდეგ, გარედან მოსდიოდათ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოსაგან, და თავს ესხმოდნენ ეროვნულ-პატრიოტული ძალების პოზიციებს.

ნეიტრალისტთა ლიდერმა პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუვანა ფუმამ და ნეო ლაო ხაკ სატის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ პრინცმა სუფანუვონგმა არაერთხელ სცადეს გამოენახათ ლაოსში შექმნილი სიტუაციის შენელების გზები, მოლაპარაკების გზით გადაეჭრათ მოუწესრიგებელი საკითხები. ეს ცდები მიზანს ვერ აღწევდა მემარჯვენე ძალების მუდმივი წინააღმდეგობის გამო. ასე მოხდა სამი პოლიტიკური დაჯგუფების ლიდერთა უკანასკნელი შეხვედრის დროს, რომელიც ა. წ. 17-18 აპრილს მოეწყო სურების ხეობაში პრინცების სუვანა ფუმას და სუფანუვონგის ინიციატივით, როცა მემარჯვენე დაჯგუფების ლიდერმა ფუმი ნოსავანმა არსებითად უარი თქვა ერთობლივ გადაწყვეტილებათა მიღებაზე, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ ვიეთარების გაუმჯობესებას ლაოსში და კოალიციური მთავრობის ნორმალური საქმიანობის განახლებას. ეს სიგნალი გახდა რეაქციული სამხედრო ხროვათვის, რომ დაეწყო აშკარა შეტევა ჟენევის შეთანხმებებისა და ლაოსში მშვიდობიანი მოწესრიგების წინააღმდეგ. და თუმცა სამხედრო გადატრიალების ცდა, თანახმად ლაოსიდან მიღებული ცნობებისა, ჩაიფუშა, მან არ შეიძლება არ გააძლიეროს ლაოსელი ხალხისა და მშვიდობიანი და ნეიტრალური ლაოსის ყველა მომხრის სიფხიზლე. ლაოსის უკანასკნელმა ამბებმა ცხადყო, რომ ლაოსის მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის მოწინააღმდეგეებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ჯერ კიდევ იმედი აქვთ დამოუკიდებლობის, ნეიტრალიტეტისა და ეროვნული თანხმობის გზას აიცდინონ ლაოსი და მისი ხალხი.

საბჭოთა მთავრობა გმობს რეაქციული ძალების მოქმედებას, რომლებსაც სურთ ჩაფუშონ ჟენევის შეთანხმებანი და ლაოსის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა. იგი აცხადებს, რომ მხარს უჭერს ლაოსის კოალიციურ მთავრობას პრინც სუვანა ფუმას მეთაურობით და ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას მშვიდობა და ეროვნული თანხმობა ლაოსში ჟენევის შეთანხმებათა საფუძველზე. საბჭოთა მთავრობა როგორც თანთავმჯდომარე ჟენევის თათბირისა ლაოსის საკითხზე, მოუწოდებს ყველა ქვეყანას, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჟენევის შეთანხმებებს, მტკიცედ და განუხრელად შეასრულონ ამ შეთანხმებებიდან გამომდინარე თავიანთი ვალდებულებანი.

საბჭოთა კავშირი, რომელიც მუდამ იყო მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის მებრძოლ ხალხთა მხარეზე, ყოველი ღონისძიებით უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს ლაოსელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში მშვიდობიანი, ნეიტრალური და დამოუკიდებელი ლაოსის შექმნისათვის.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია შვეიცარიაში გაემგზავრა

შვეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 21 აპრილს მოსკოვიდან შვეიცარიას გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი მეთაურობს. (საკადესი).

ბენ ბელა ერეკვნული განთავისუფლების ფრონტის ბენერალური მდივანია

ალჟირი, 21 აპრილი. (საკადესი). დღეს ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პირველმა ყრილობამ ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალურ მდივნად ერთსულოვნად დაამტკიცა აჰმედ ბენ ბელა.

კაკისტანელები შეშფოთებული არიან

უარაჩი, 21 აპრილი. (საკადესი). თვალსაჩინო პაკისტანელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ეროვნული სახალხო პარტიის ლიდერმა ბჰასანმ აღმოსავლეთ პაკისტანის დედაქალაქ დაკაში განაცხადა, რომ პაკისტანელთა დიდ შეშფოთებას იწვევს ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდების დადაგება ინდოეთის ოკეანეში.

„ჩვენ, პაკისტანელებს, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — არ შეიძლება არ გვაშინებდეს ამერიკის ხომალდები, რადგან ეს როდია გასართობი ნაოსნობა და მარტოოდენ სურვილი დაგვანახვონ თავიანთი ალმი. ეს ხომალდები აღჭურვილი არიან ატომური იარაღით. აზიის ხალხები იმისათვის კი არ აწარმოებდნენ ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლას ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომ კვლავ დაიდგან ახალი კოლონიური სახელმწიფოს უღელი“.

„პოლარისის“ გამოცდა

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. (საკადესი). გუშინ ატლანტის ოკეანეში ამერიკულმა ატომურმა წყალქვეშა ნავმა „ჰენრი კლეიმ“ გამოიცდის მიზნით გაუშვა ორი რაკეტა „პოლარისი 2-ა“. როგორც საინფორმაციო სააგენტოები კენედის კონცხიდან იუწყებიან, ერთი რაკეტა ნავმა გაუშვა, როცა იყო წყალქვეშ ნაპირიდან 30 მილზე.

გამარჯვება მოსკოვში

კალათბურთის სამშობლოს — ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მაჩს მოსკოვში შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ. ეს გასაგებიც იყო. სპეციალისტებსა და სპორტულ მომომხილველებს ხომ სწორედ ამ ორი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრებები მიაჩნათ ოქროს მედლების მთავარ პრეტენდენტებად ტოკიოს მომავალ პაექრობაში.

დედაქალაქის სპორტის სასახლე გუშინ სავსე იყო მაყურებლებით, ამერიკელ და საბჭოთა კალათბურთელების პირველ საერთაშორისო შეხვედრას სპორტის ათასობით მოყვარული ესწრებოდა.

საბჭოთა გუნდის სასტარტო ხუთეულში იყვნენ — ალაჩაჩიანი, ტრავინი, კორნეევი, ვოლნოვი, პეტროვი. სტუმრებმა თავიანთი საუკეთესო შემადგენლობა გამოიყენეს, მათი უმრავლესობა მაღალი ტანის სპორტსმენები, ჩინებული ათლეთები არიან.

მართალია, ანგარიში ამერიკელებმა ბოლსნეს, მაგრამ იქვე პეტროვის ტაორცნა მიზანს მოხვდა, შემდეგ კი ვოლნოვმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 4:2. ინიციატივა ხელთ იგდეს საბჭოთა კალათბურთელებმა, ისინი სჯობნიდნენ მეტოქეს ტემპში, კომბინაციათა მრავალფეროვნებაში, ფარქვეშ ბრძოლაში.

ანგარიში ჩვენი გუნდის სასარგებლოდ იზრდებოდა, — 6:3, 8:5, 10:5, 19:9, 21:13. პირველი ნახევრის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ქულათა სხვაობა ათამდე გაიზარდა, ტაიმი დამთავრდა 46:31 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში სტუმრებმა პრესინგს მიმართეს, ამასთან შორიდან ტაორცნიდნენ ბურთს. მართალია, მათ ერთ პერიოდში ოდნავ შეამცირეს ქულათა სხვაობა, მაგრამ წონასწორობის აღდგენა ვერ შეძლეს. ინიციატივა კვლავ საბჭოთა ნაკრების მხარეზე იყო, ჩვენი კალათბურთელები 20 ქულით დაწინაურდნენ.

ბოლო წუთებში კრუშინშმა და კორნე